საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს
დ ე ბ უ ლ ე ბ ა
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის № 2324 დადგენილებით

მუხლი 1. რეგულირების სფერო

დებულების მიზნებია განსაზღვროს:

- საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შედგენის, მისი თავმჯდომარის არჩევის და საქმიანობის წესი;
- დისერტაციის დაცვის პროცედურა.

მუხლი 2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო (შემდგომში საბჭო) არის შესაბამის დარგში/სპეციალობაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში;

2. საბჭო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, წინამდებარე დებულებისა და განათლების სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად; საბჭოს საქმიანობა შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა" (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონიის პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტებთან;

3. საბჭო პასუხისმგებელია ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაზე. იგი ქმნის მაქსიმალურად ხელის შემწყობ პირობებს დისერტაციის დასაცავად;

4. საბჭო იქმნება, როგორც წესი, 4 წლის ვადით, ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე დარგში/სპეციალობაში წარმოდგენილი დისერტაციების განხილვისა და დაცვის მიზნით;

5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები შეირჩევიან სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად. მათ კანდიდატურებს წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური საბჭოს რომელიმე წევრი. გარდა ამისა, საბჭოს წევრობის მსურველმა შეიძლება პირადად დაასახელოს თავისი კანდიდატურა;

6. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან, ემერიტუსებისა და აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერ-თანამშრომლებისაგან. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს

შემადგენლობაში შეიძლება მოწვეული იქნენ შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან. საბჭოს წევრობის კანდიდატებმა თანხმობა საბჭოს წევრობაზე წერილობით უნდა დაადასტურონ. უნივერსიტეტის წესდებით შეიძლება განისაზღვროს საბჭოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მოწვევის წესი და პირობები;

7. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 15 და არაუმეტეს 25 წევრით, და აქედან 1/3-მდე მოწვეული წევრი. ერთი და იგივე პირი სტუ-ს ფარგლებში შეიძლება იყოს არაუმეტეს 2 სადისერტაციო საბჭოს წევრი;

8. საბჭოში შემავალი თითოეული დარგი/სპეციალობა წარმოდგენილი უნდა იქნეს არანაკლებ 5 წევრით. ყოველი დარგის/სპეციალობის რეგისტრირდება მხოლოდ ერთ საბჭოში. საბჭოს შემადგენლობის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ”ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დადგენილი მიმართულებების, დარგების/სპეციალობების ჩამონათვალი;

9. საბჭოს შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;

10. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) მე-6 პუნქტში მითითებული დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
გ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;
დ) სადისერტაციო საბჭოს წევრის ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება.

11. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს და ამტკიცებს თავმჯდომარეს საბჭოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, საბჭოს არანაკლებ ხუთი წევრის მიერ კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება იქნეს ზედიზედ არჩეული არა უმეტეს ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი;

12. საბჭო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს და ამტკიცებს საბჭოს უფლებამოსილების ვადით. საბჭოს მდივანი უნდა იყოს სტუ-ის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან. კანდიდატების დასახელება ხდება სხდომაზე საბჭოს წევრების მიერ და მტკიცება ღია კენჭისყრით, სიითი შუმადგენლობის უმრავლესობით;

13. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3 (გარდა ამ მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა). გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა უმრავლესობა;

14. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვის შესახებ ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;

15. საბჭოს ერთ სხდომაზე არ შეიძლება ერთზე მეტი დისერტაციის დაცვა. ერთ დღეს არ შეიძლება 2-ზე მეტი სხდომის ჩატარება;

მუხლი 3. საბჭოს მართვა და მისი უფლებამოსილება

1. საბჭოს სხდომებს იწვევს თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომის მოწვევა შეუძლია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარესთან შეთანხმებით. სხდომაზე საბჭოს მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომის მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს. საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის და მდივნის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში სხდომა არ ჩატარდება;

2. საბჭოს თავმჯდომარე (ან მოადგილე) არ შეიძლება წარმართავდეს სხდომას, თუ იგი ამავე დროს არის იმ დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც იცავს. თუ ერთ-ერთი მათგანი არ იმყოფება სხდომაზე, მეორე კი ხელმძღვანელია, საბჭო სხდომის თავმჯდომარედ ნიშნავს ერთ-ერთ წევრს.

3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო:
ა) ატარებს დისერტაციის საჯარო დაცვა და იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;
ბ) იღებს გადაწყვეტილებას დისერტანტის ხელმძღვანელის, სადისერტაციო თემის დამტკიცების/შეცვლის ან კორექტირების შესახებ;
გ) შეიმუშავებს წინადადებებს საბჭოს დარგების/სპეციალობების ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ;
დ) შეიმუშავებს წინადადებებს სამეცნიერო ჟურნალების, პუბლიკაციებისა და სხვა გამოცემების ნუსხაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლებშიც გამოქვეყნებული კვლევის ძირითადი შედეგები აღიარებული იქნება საბჭოს მიერ.

მუხლი 4. საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობა

1. წარმართოს საბჭოს მუშაობა;
2. მოიწვიოს და წარუძღვეს საბჭოს სხდომებს;
3. ხელი მოაწეროს საბჭოს გადაწყვეტილებებს;
4. პასუხისმგებელი იყოს საბჭოს გამართულ ფუნქციონირებაზე.

მუხლი 5. საბჭოს მდივნის უფლება-მოვალეობა

1. უზრუნველყოს სხდომის წარმართვის ტექნიკური მხარე;
2. აღრიცხოს საბჭოს წევრების სხდომაზე დასწრება;
3. აღრიცხოს საბჭოს, მათ შორის დოქტორანტების დოკუმენტაცია;
4. უზრუნველყოს ინფორმაციის დროული განთავსება ფაკულტეტის ვებგვერდზე;

5. შეამოწმოს დისერტაციის და ავტორეფერატის გაფორმების შესაბამისობა წაყენებულ მოთხოვნებთან;
6. დისერტაციის თემატიკის შესაბამისად შედგენილი კომისიის დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში სტუ-ის ბიბლიოთეკას გადასცეს დისერტაცია, ავტორეფერატი და მათი ელექტრონული ვერსიები;
7. უზრუნველყოს დაცვის შესახებ ინფორმაციის და ავტორეფერატის განთავსება შესაბამისი ფაკულტეტის ვებგვერდზე;
8. უზრუნველყოს დისერტაციის და ავტორეფერატის ეგზემპლარების გადაცემა ოფიციალური რეცენზენტებისათვის;
9. უზრუნველყოს ავტორეფერატის ეგზემპლარების გადაცემა საბჭოს წევრებისთვის.

მუხლი 6. სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცება

1. სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ (მოხსენებითი ბარათი სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად), სწავლების დეპარტამენტში უნდა წარადგინოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურები, რის საფუძველზეც სწავლების დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;

2. სადისერტაციო საბჭომ, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); მათ შორის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი ან მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობის ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

3. სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები დამტკიცებიდან ორი კვირის განმავლობაში დეკანატში წარადგენენ დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1);

4. სადისერტაციო საბჭო, სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრის დაწყებიდან არანაკლებ ორ კვირაში, აკადემიური დეპარტამენტის რეკომენდაციით, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ. ამ გადაწყვეტილების (სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე სწავლების დეპარტამენტი ადგენს ბრძანების პროექტს სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ.

მუხლი 7. დოქტორანტის ხელმძღვანელის შეცვლა/დამატება და სადისერტაციო თემის შეცვლა/დასახელების კორექტირება, დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

1. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, დოქტორანტს აქვს უფლება, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, განცხადებით მიმართოს რექტორს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის ან დამატების შესახებ (გარდა დამამთავრებელი სემესტრისა). სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც;

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების თანხმობის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის/დამატების შესახებ საკითხს გაიტანს საბჭოზე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე მოხსენებით ბარათს საბჭოს ოქმთან ერთად წარადგენს სწავლების დეპარტამენტში, რომელიც არსებული წესის თანახმად უზრუნველყოფს ბრძანების პროექტის მომზადებას;

3. დოქტორანტის და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით და აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, როგორც წესი, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემა (გარდა დამამთავრებელი სემესტრისა) ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. დამამთავრებელ სემესტრში სადისერტაციო თემის დასახელების კორექტირება დასაშვებია დისერტაციის სადისერტაციო საბჭოში დასაცავად წარდგენამდე;

4. დეპარტამენტის უფროსის მოთხოვნით, სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლის ან დასახელების კორექტირების შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, საბჭოს ოქმთან ერთად, წარედგინება სტუ-ის სწავლების დეპარტამენტს, რომელიც, არსებული წესის თანახმად, უზრუნველყოფს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას.

5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, სათანადო სასწავლო ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის შეუსრულებლობისას დოქტორანტს აქვს უფლება, გააგრძელოს დოქტორანტურაში სწავლა ერთი ან ორი დამატებითი სემესტრის განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით. ამისათვის მან მითითებული პროგრამის ვადის დასრულებისას, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და, შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, არსებული წესის თანახმად გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულება;

6. დოქტორანტს, რომელმაც გეგმურ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამა ვერ დაასრულა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით დამატებით სემესტრში სტატუსის გაგრძელების შესახებ განცხადებით არ მიმართა რექტორს, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;

7. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს. დეკანის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს და აფასებს დოქტორანტის

სადისერტაციო თემის აქტუალურობასა და მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებას. განხილვის შედეგად კომისიამ შეიძლება განსაზღვროს დამატებით დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა და, შესაბამისად, დისერტაციის დასაცავად წარდგენის ბოლო ვადა. თუ კომისია დაადგენს, რომ საჭიროა დამატებით 60 კრედიტისზე მეტის გავლა, დოქტორანტმა შეიძლება შეიცვალოს სპეციალობა (პროგრამა) სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 8. დისერტაციის წარდგენა საბჭოში

1. დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა კომპონენტი, აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), საბჭოში წარადგინა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაცია და სამეცნიერო ხელმძღვანელის (შემდგომში ხელმძღვანელი) მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარები.

2. დასრულებული დისერტაცია გადაეცემა საბჭოს განსახილველად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორი და არაუმეტეს სამი თვით ადრე;

3. დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს მდივანს უნდა წარუდგინოს:
ა) განცხადება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების თხოვნის შესახებ;
ბ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
გ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 20-30 ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
დ) ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) მიერ დოქტორანტის დახასიათება დოქტორანტურაში სწავლისა და დისერტაციის მომზადების პერიოდში გამოვლენილი საქმიანი თვისებების შესახებ;
ე) სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია). სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება). გამო-გონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ;
ვ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (პირები, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ უცხოეთში, წარმოადგენენ მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, რომელიც გაცემულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);
ზ) ბიოგრაფიული ცნობები (CV).

4. დეკანატი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს მას ინფორმაცია დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი); კოლოკვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების ასლები; აგრეთვე ინფორმაცია დოქტორანტის ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ;

5. დისერტაცია და ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (დანართი 2, 3);

6. ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ შრომების, პატენტების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.

მუხლი 9. დისერტაციის დაცვის თარიღისა და ოფიციალური რეცენზენტების დანიშვნა

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ საბჭოს მდივანი ერთი კვირის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას, ავტორეფერატის და დისერტაციის გაფორმების შესაბამისობას მოთხოვნებთან და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში გადასცემს საბჭოს განსახილველად;

2. საბჭო ქმნის თავისი შემადგენლობიდან დისერტაციის თემატიკის შესაბამისად სამწევრიან კომისიას, რომელიც გაეცნობა დისერტაციას და 10 დღეში ამზადებს დასკვნას:
ა) სადოქტო პროგრამასთან, დისერტაციის შესაბამისობის შესახებ;
ბ) დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების და სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მასალის შესაბამისობის შესახებ;
გ) საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხასთან იმ სამეცნიერო ჟურნალებისა და გამოცემების შესაბამისობის შესახებ, სადაც გამოქვეყნებულია დისერტაციის ძირითადი შედეგები;
დ) ლიტერატურულ წყაროზე მითითების გარეშე დისერტაციაში გამოყენებული მასალის არსებობის ან სამეცნიერო ნაშრომის შედეგების გამოყენების შესახებ (პლაგიატი);
ე) ავტორეფერატის დისერტაციასთან შესაბამისობის შესახებ.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული დასკვნის საფუძველზე, საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით, სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. დოქტორანტის დაცვაზე არდაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და მასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია შეინახება საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტაციას;

4. დოქტორანტის დაცვაზე დაშვების უარის საფუძველი შეიძლება იყოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევა, აგრეთვე:
ა) დოკუმენტების არასრულყოფილება;
ბ) დოკუმენტების გაყალბება.

5. დადებითი გადაწყვეტილებისას ინიშნება დისერტაციის დაცვის თარიღი და მტკიცდება ორი ოფიციალური რეცენზენტი; ოფიციალური რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დარგში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 შრომისა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, რომელთა შესაბამისობას ადგენს საბჭო. ოფიციალური რეცენზენტი არ შეიძლება იყოს: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი, დოქტორანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი; დაუშვებელია, რომ ორივე ოფიციალური რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი;

6. საბჭო უფლებამოსილია დოქტორანტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები და ასევე, მოიწვიოს დოქტორანტი სხდომაზე საჭირო განმარტების მიცემის მიზნით;

7. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარების გადასცემას ოფიციალური რეცენზენტებისათვის;

8. დისერტაციის დაცვამდე 2 კვირით ადრე ოფიციალურმა რეცენზენტმა წერილობითი დასკვნა ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინოს საბჭოში და დააბრუნოს დისერტაციის ეგზემპლარი;

9. ოფიციალური რეცენზენტების დასკვნაში უნდა აისახოს: სადისერტაციო თემის აქტუალურობა, სიახლე, კვლევის მეცნიერული დონე, სამეცნიერო კვლევის შედეგები და სანდოობა, ფინანსურ მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში), გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს ოფიციალური რეცენზენტის აზრი – აკმაყოფილებს თუ არა დისერტაცია წაყენებულ მოთხოვნებს, იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას;

10. თუ რომელიმე ოფიციალური რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), სათანადო ცნობის ან მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს ვადაში იწვევს საბჭოს სხდომას, მტკიცდება სხვა ოფიციალური რეცენზენტი და განიხილება დაცვის თარიღის ცვლილების აუცილებლობა;

11. საბჭოს მდივანმა დოქტორანტს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;

12. თუ დისერტაცია შესრულებულია საბჭოში შემავალი დარგის/სპეციალობის და სხვა დარგის/სპეციალობის მიჯნაზე, საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში ხმის უფლებით, უნდა იქნეს დამატებით შეყვანილი შესაბამისი დარგის/სპეციალობის არანაკლებ 3 სპეციალისტი, რომლებიც აკმაყოფილებენ საბჭოს წევრის მიმართ

წაყენებულ მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ოფიციალურ რეცენზენტად დამატებით მოწვეულ იქნეს ამ დარგის/სპეციალობის სპეციალისტი;

13. დისერტაციის დაცვამდე ორი კვირით ადრე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო თემის დასახელება, დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, ოფიციალური რეცენზენტები, დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი (ფაკულტეტის ვებგვერდზე, თვალსაჩინო ადგილზე განცხადების განთავსებით და სხვა საშუალებებით);

14. ოფიციალურ რეცენზენტთა დასკვნების თითო ეგზემპლარი გადაეცემა დოქტორანტს დაცვამდე სულ ცოტა ათი დღით ადრე;

15. დოქტორანტს უფლება აქვს ოფიციალური რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც მოითხოვოს დაცვის ჩატარება. ასევე, მას უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი დაცვამდე ნებისმიერ ეტაპზე. ამ შემთხვევაში დისერტაციის წარდგენა შეიძლება მომდევნო სემესტრში არსებული წესის შესაბამისად;

16. საბჭოს თავმჯდომარემ მიღებული გადაწყვეტილებები ოქმის სახით უნდა გადასცეს დეკანატს სტუდენტის პირად საქმეში შესატანად.

მუხლი 10. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა (შემდგომში დაცვა) ტარდება საჯაროდ, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

2. დაცვას საპატიო მიზეზით შეიძლება არ ესწრებოდეს ერთ-ერთი ოფიციალური რეცენზენტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს დადებითი დასკვნა. ამ შემთხვევაში დასკვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას. თუ დაცვას არ ესწრება არცერთი ოფიციალური რეცენზენტი, დაცვა არ შედგება.

3. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა დისერტაციის დაცვაზე, საბჭოს კვორუმი არ შედგა, ან სხდომას ესწრება დისერტაციის თემის შესაბამისი დარგის/სპეციალობის წევრთა 2/3 -ზე ნაკლები, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზის გამო, საბჭოს მიერ დაცვა დაინიშნება უახლოეს მისაღებ დროს;

4. საბჭო მუშაობს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში დაცვა ჩატარდება სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე (აუცილებლობის შემთხვევაში თარჯიმნის დახმარებით);

5. საბჭოს სხდომას ხსნის თავმჯდომარე. იგი ადასტურებს კვორუმის არსებობას და დამსწრეთ აცნობს სხდომის დღის წესრიგს;

6. დოქტორანტისა და ოფიციალური რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე, საბჭოს წევრებისა და სხვათა გამოსვლების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბჭო თავმჯდომარის წინადადებით;

7. სხდომის მდივანი აცხადებს დოქტორანტის ვინაობას, მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, დისერტანტის მიერ გავლილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების და წინასწარი დაცვის შედეგებს, დისერტაციის თემასა და ოფიციალური რეცენზენტების ვინაობას, საბჭოს წევრებს აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და დისერტაციის დაცვის პროცედურას;

8. სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, დოქტორანტი, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს, ნაშრომის ძირითად დებულებებს, მიღებულ შედეგებს და კითხულობს დასკვნებს;

9. დოქტორანტი პასუხობს საბჭოს წევრებისა და დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც თავმჯდომარე საბჭოს გააცნობს დისერტაციაზე გამოხმაურებებს (მათი არსებობის შემთხვევაში). ყველა კრიტიკული შენიშვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული. დოქტორანტი ვალდებულია პასუხი გასცეს ყველა შენიშვნას. იწყება ოფიციალური რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელებს დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც საბჭოს წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს;

10. დისერტაციის დაცვის დროს დისერტანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები;

11. დისერტაციის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება აუდიო/ვიდეო ტექნიკური საშუალებებით.

მუხლი 11. შეფასება

1. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება დაცვის დამთავრებისთანავე, საბჭოს თითოეული წევრის მიერ, ფარული კენჭისყრით, დადგენილი ფორმის შეფასების ბიულეტენის გამოყენებით (დანართი 4); ამ პროცედურის ჩატარების მიზნით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით საბჭო თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს შეფასებების დამთვლელ კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურის კონფიდენციალურობაზე;

2. შეფასებების დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი დოკუმენტების შედგენასა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე;

3. პროცედურის დაწყების წინ სადისერტაციო საბჭოს მდივანი საბჭოს წევრებს აცნობს აღნიშნულ პროცედურასა და შეფასების ბიულეტენის შევსების წესს;

4. საბჭოს წევრებმა პროცედურაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პერსონალურად. დაუშვებელია შეფასების უფლების გადაცემა სხვა პირზე.

5. საბჭოს წევრთა შეფასებების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო შეფასება – თითოეული წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული;

6. დისერტაციის ერთჯერადი შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

დადებითი შეფასებებია:
ა) ფრიადი (*summa cum laude*) - შესანიშნავი ნაშრომი, 91-100 ქულა;
ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, 81-90 ქულა;
გ) კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, 71-80 ქულა;
დ) საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს, 61-70 ქულა;
ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებებია:
ა) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს, 41-50 ქულა;
ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, 41-ზე ნაკლები ქულა.

7. არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის "ა"-"ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღებისას, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

9. დისერტაციის დაცვაზე 41-დან 50 ქულამდე შეფასების მიღებისას, დოქტორანტს აქვს ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. მითითებული შეფასების მიღებისას დოქტორანტმა დაცვიდან ერთი კვირის განმავლობაში განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. თუ მან უკვე ისარგებლა ორი სემესტრის დამატებით, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

10. დისერტაციის დაცვაზე 0-დან 40 ქულამდე შეფასების ან განმეორებით 41-დან 50 ქულამდე შეფასების მიღებისას დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი;

11. შეფასებების დამთვლელი კომისია პროცედურის შედეგებს აფორმებს ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. შეფასების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე საბჭოს უცხადებს პროცედურის შედეგებს და შესაბამისი ოქმი მტკიცდება ღია კენჭისყრით, საბჭოს დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. ოქმი და ბიულეტენები ინახება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის დოკუმენტებთან ერთად;

12. თუ შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი ვერ დამტკიცდა, შეფასების პროცედურა უნდა განმეორდეს ან გადაიდოს შემდეგი სამუშაო დღისათვის. შეფასების დამთვლელი კომისია ამზადებს ახალ ბიულეტენებს და სადისერტაციო საბჭო ხელახლა აწყობს ფარულ პროცედურას;

13. შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმის დამტკიცების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე საბოლოო გადაწყვეტილებას აცნობს დისერტანტს და აუდიტორიას;

14. დისერტაციის დაცვის შემდეგ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს არქივში რჩება დოქტორანტის საქმე, რომელშიც შედის:
ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზით დადასტურებული დოქტორანტის განცხადება დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
ბ) საბჭოს კომისიის დასკვნა დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ;
გ) დისერტაციისა და ავტორეფერატის თითო ეგზემპლარი და მათი ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში);
დ) დოქტორანტის ბიოგრაფიული ცნობები (CV), მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (საჭიროების შემთხვევაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, გაცემული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ);
ე) სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დახასიათება;
ვ) სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი შეფასებების ფურცელი, აგრეთვე, კოლოკვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის და დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის უწყისების ასლები;
ზ) სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომების, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები, გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (ასლები) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და ფაკულტეტის ბეჭდით;
თ) ოფიციალური რეცენზენტების დასკვნები;
ი) შეფასების დამთვლელი კომისიის ოქმი შეფასების ბიულეტენებთან ერთად;
კ) დისერტაციის დაცვის ოქმი დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით;

ლ) დოქტორანტის სააღრიცხვო ბარათი დამოწმებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით;
მ) დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

15. მყარ საქაღალდეში აკინძული დოკუმენტაცია დეკანატში ინახება ოთხი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 12. ბათილობა

სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა ან პლაგიატი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაუცემლობის ან გაუქმების საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

წინამდებარე დებულება ძალაშია: 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან